,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2024 წლის 25 ივნისის №165/01-01 და №166/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული

კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის № 80/2024
დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

**ოქმი N3**

ქ. თბილისი 6 სექტემბერი 2024 წელი; 10:00 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი: 1. პროფესორი მარინე ჩიტაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); 2. ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოცირებული პროფესორი თეონა ლოდია (კომისიის მდივანი); 4. პროფესორი მანანა გაბაშვილი; 5. პროფესორი თინათინ ფანცულაია.

**დღის წესრიგი:**

1. გამარჯვებული პრეტენდენტების გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება;
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, თსუ-ის რექტორის 2024 წლის 25 ივნისის №165/01-01 და №166/01-01 ბრძანებების საფუძველზე პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:**

1. გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენის მიზნით ჩატარდა კენჭისყრა.

კომისიის მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თეონა ლოდიამ კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები ხელმოსაწერად. ბიულეტენების რაოდენობა თითოეული კონკურსანტითვის 5 (სულ 15 ყველა კონკურსანტისთვის). მან კომისიის წევრებს წარუდგინა ყუთი, რომელიც კომისიის წევრების წინაშე გაიხსნა. წევრები დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელი იყო. კომისიის მდივანმა კომისიის წევრების წინაშე ქაღალდის საშუალებით დალუქა ყუთი, რომელიც დამოწმდა კომისიის წევრების ხელმოწერებით. კომისიის წევრებს დაურიგდათ კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები, სულ 15 ბიულეტენი, ხმის მისაცემად. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიამ აირჩია ხმის დამთვლელი ჯგუფი: ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი და პროფესორი თინათინ ფანცულაია. გამოყენებული ბიულეტენია - 15, გაფუჭებული -0. კენჭისყრის შედეგების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ  პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორების თანამდებობაზე მაია მესტვირიშვილის, ლუიზა არუთინოვას და მარიამ ფანჯიკიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე არის - კომისიის 5 წევრი, წინააღმდეგი - 0 წევრი.

2. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

   ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის 2 და ასისტენტ პროფესორის 1  საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 3 კანდიდატმა- მაია მესტვირიშვილმა, ლუიზა არუთინოვამ და მარიამ ფანჯიკიძემ. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან მიღება-ჩაბარების აქტით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ პირველ ეტაპზე კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

   შეფასების პირველ ეტაპზე, სამივე კონკურსანტმა – მაია მესტვირიშვილმა, ლუიზა არუთინოვამ და მარიამ ფანჯიკიძემ – I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

**მაია მესტვირიშვილს** თსუ-ში სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ხანგრძლივი და წარმატებული გამოცდილება აქვს. მას გამორჩეული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო ჯილდო. ის არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია ემპირიული კვლევები“ თანახელმძღვანელი. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიჰყავს არაერთი კურსი როგორც საბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე. მათ შორისაა: ფსიქოლოგიის საფუძვლები, მორალის ფსიქოლოგია, სტიგმა და სტრესი, ვიზუალური კვლევის მეთოდები, კვლევითი ნაშრომი და ა. შ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მაია მესტვირიშვილი უცხოელი სტუდენტებისთვის ინგლისურ ენაზე უძღვება სხვადასხვა კურსს, მათ შორის: ფსიქოლოგიის შესავალსა და ბიზნესის ფსიქოლოგიას. ის ამ ეტაპისთვის არის ორი წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მაია მესტვირიშვილის სამეცნიერო საქმიანობა. მას საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში არაერთი სტატია აქვს გამოქვეყნებული. შთამბეჭდავია მისი ნაშრომების ციტირების ინდექსი (h ინდექსი Scopus – 4, Google scholar – 6). მაია მესტვირიშვილს არაერთი მოხსენება აქვს გაკეთებული სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციასა თუ კონგრესზე. აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან. მიღებული აქვს არაერთი კვლევითი სტიპენდია, მისი სამეცნიერო კვლევითი პროექტები დაფინანსებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების გრანტებით. მის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით კონცეფციაში მკაფიოდ ჩანს პრეტენდენტის გაწეული სამეცნიერო შრომა პოზიტიური ფსიქოლოგიისა და ვიზუალური კვლევის მეთოდების დანერგვისა და განვითარების მიმართულებით.

განსაკუთებული აღნიშვნის ღირსია, ასევე, მაია მესტვირიშვილის კვლევები შემდეგ აქტუალურ თემებზე: სოციალური იდენტობები, სტიგმა, მორალის ფსიქოლოგია, მორალური მსჯელობა და რელიგიური ორიენტაციის ტიპები, სელფი და მისი ფუნქციები. მორალის ფსიქოლოგიაში გამოქვეყნებული აქვს 4 სტატია, აქედან სამი 2023 წელს გამოვიდა და ერთი სტატიის სოლო ავტორია. ოთხივე სტატია დაბეჭდილია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც ინტეგრირებულია scopus-ის ბაზებში“.

გამოცხადებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე მაია მესტვირიშვილის კანდიდატურას კომისიამ ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაუჭირა მხარი (5 - მომხრე, 0- წინააღმდეგი).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პედაგოგიური და პროფესიული უნარები, მისი გადმოცემისა და მეტყველების კულტურა. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა მაია მესტვირიშვილის პროფესიონალიზმი, მისი პედაგოგიური მიდგომების ეფექტურობა, მისი როგორც მეცნიერის კომპეტენცია და პოზიტიური ფსიქოლოგიის დარგის განვითარებისთვის ზრუნვა საქართველოში.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის მოთხოვნებს. მაია მესტვირიშვილის კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება მნიშვნელოვანია პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

**ლუიზა არუთინოვა** 2005 წლიდან თსუ-ს ასოცირებული პროფესორია. ხანგრძლივი პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის ფარგლებში შექმნილი აქვს არაერთი სასწავლო კურსი როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო დონეზე, მათ შორისაა, მაგალითად, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და კვლევის შედეგების ანალიზი SPSS– ს გამოყენებით, რომელიც ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგანთა ნუსხაშია. ლუიზა არუთნოვამ შექმნა და დღემდე ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროგრამას: ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“. მისი ხელმძღვანელობით არაერთი სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომია დაცული, საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია. მას უკვე საკმარისზე მეტი საფუძველი აქვს იმუშაოს ფსიქოდიაგნოსტიკის ქართულ სახელმძღვანელოზე, რომლის მზაობაც გამოთქვა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის იდეის პასუხად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლუიზა არუთინოვას დამსახურება ფსიქოსადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების ქართული ვერსიების შექმნაში, მაგალითად, ბოლოდროინდელი ნაშრომი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით შესრულდა, არის 6 თვიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ტესტის ქართული ვერსია. ქართულ ფსიქოლოგიაში აშკარად იგრძნობა როგორც ინტელექტის და პიროვნული მახასიათებლების საკვლევად განკუთვნილი, ისე პროფესიული ორიენტაციების დასადგენი და სხვა სპეციალიზებული ტესტების/ ინსტრუმენტების ნაკლებობა, რომლებიც ადაპტირებული და სტანდარტიზებული იქნება ქართულ პოპულაციაზე. აქვე მნიშვნელოვანია

აღინიშნოს, რომ ადაპტირებული, სანდო და ვალიდური ინსტრუმენტების ნაკლებობა აისახება კვლევითი საქმიანობის ხარისხზე სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, დოქტორანტურის ჩათვლით. შესაბამისად, ამგვარი ინსტრუმენტების ქართული ვერსიების არსებობა დარგის განვითარების საწინდარია.

გამოცხადებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე ლუიზა არუთინოვას კანდიდატურას კომისიამ ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაუჭირა მხარი (5 - მომხრე, 0- წინააღმდეგი).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პედაგოგიური და პროფესიული უნარები, მისი გამოცდილება. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა ლუიზა არუთინოვას პროფესიონალიზმი, მისი როგორც მეცნიერის კომპეტენცია და ფსიქოდიაგნოსტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის მოთხოვნებს. ლუიზა არუთინოვას კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება მნიშვნელოვანია პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

**მარიამ ფანჯიკიძე** აქტიური ფსიქოთერაპიული პრაქტიკის კვალდაკვალ 2016 წლიდან იკავებს ასისტენტ პროფესორის თანამდებობას. მას მიჰყავს არაერთი სასწავლო კურსი როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე, მათ შორის: პათოფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსუტირება, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია და ა. შ. მარიამ ფანჯიკიძე სუპერვიზიას უწევს ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტებს, აქტიურად ატარებს ტრენინგებს სტუდენტებისთვის ამა თუ იმ უნარის გასავითარებლად.

მარიამ ფანჯიკიძე, ასევე, ჩართულია კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის ასოციაციაში სპეციალისტების აკრედიტაციისთვის მომზადების პროგრამაში, ტრენერად. ამავდროულად, 2020 წლიდან ჩართულია ანალიტიკური თერაპიის საერთაშორისო სასწავლო პროგრამაში და 2027 წელს მიიღებს ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის მიერ გაცემულ ანალიტიკოსის დიპლომს. ამგვარი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალის არსებობა უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების თვალსაზრისით.

მარიამ ფანჯიკიძეს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. ნაშრომების ციტირების ინდექსი (h ინდექსი Scopus – 1, Google scholar – 2). ის, ასევე, აქტიურად მონაწილეობს არაერთ

სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციასა თუ კონგრესზე, როგორც მომხსენებელი. აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან. მიღებული აქვს არაერთი კვლევითი სტიპენდია, მისი სამეცნიერო კვლევითი პროექტები დაფინანსებულია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების გრანტებით.
გამოცხადებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე მარიამ ფანჯიკიძის კანდიდატურას კომისიამ ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაუჭირა მხარი (5 - მომხრე, 0- წინააღმდეგი).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პედაგოგიური და პროფესიული უნარები, მისი გამოცდილება. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა მარიამ ფანჯიკიძის მაღალი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი, მისი პედაგოგიური მიდგომების ეფექტურობა, მისი როგორც მკვლევრის კომპეტენცია და ფსიქოთერაპიის დარგის განვითარებისთვის ზრუნვა საქართველოში.
კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, პრაქტიკული თუ პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორის მოთხოვნებს. მარიამ ფანჯიკიძის კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება მნიშვნელოვანია პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და დარგის შემდგომი განვითარებისთვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ინსტიტუტის ფარგლებში კლინიკური ფსიქოლოგიის ახალი სამაგისტრო პროგრამა იქმნება.

**ერთხმად დაადგინეს:**

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში (ერთი საშტატო ერთეული -„ა“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს მაია მესტვირიშვილი.
2. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში (ერთი საშტატო ერთეული -„ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს ლუიზა არუთინოვა.

3. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში (ერთი საშტატო ერთეული -„ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს მარიამ ფანჯიკიძე.
4. შესარჩევის კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ–გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი მარინე ჩიტაშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი

კომისიის მდივანი: ასოცირებული პროფესორი თეონა ლოდია

პროფესორი მანანა გაბაშვილი

პროფესორი თინათინ ფანცულაია